ლელო
№ 40
(11 292)
28 – 31 მაისი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ტორ–პე–დო!!!

## საქართველოს თასი ქუთაისელებმა პირველად მოიპოვეს!



იხ. მე-3 გვ.



# ჩემპიონთა ჩემპიონი!



„მანჩესტერ იუნაიტედმა", წლეულს თავისი ქვეყნის ჩემპიონობა და თასიც მოიპოვა, ახლა კი, სულ რაღაც ერთ წუთში, პირველად დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასს იხ. მე-5 გვ.

პრესკონფერენცია

## ფინანსთა მინისტრმა საქართველოში სპორტი გამოაცოცხლა

გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა ძირითადად ყურადღება გაამახვილა მაისში ჩვენი სპორტსმენების შედეგებზე საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში. „ეს თვე დატვირთული იყო მსოფლიო და ევროპის დონის ასპარეზობებით, ფაქტობრივად ყველგან მივიღეთ მონაწილეობა, რაც პირადად ფინანსთა მინისტრის დავით ონოფრიშვილის თანადგომის შედეგია. თუ ასეთი მხარდაჭერა გაგრძელდება, ქართული სპორტი გადარჩება" – თქვა კახი ასათიანმა. მან ქებით მოიხსენია ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძის, სამბისტების, ხელბურთელების, ალპინისტების წარმატება. ჭიდაობის სახეობებში სახსრები ნაკლებ მომჭირნეობით იხარჯება, თითქმის ბიუჯეტის ნახევარი მათ ხმარდება. ითქვა, რომ კალათბურთელებმა ვერ გაამართლეს იმედები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სპორტის ამ სახეობისადმი ყურადღება მოდუნდება, კალათბურთი უყვართ ჩვენში, სამომავლოდ დიდ იმედებს იძლევა ბავშვთა საკალათბურთო აკადემია. ფედერაციას კი აუცილებლად მოუწევს გაატაროს რადიკალური ზომები. დეპარტამენტის თავმჯდომარემ საერთოდ, ფედერაციებს და მწვრთნელებს მოუწოდა გარდაქმნან მუშაობა, სიახლეები შეიტანონ სპორტსმენთა და გუნდების მზადებაში.

პრესკონფერენციას ფეხბურთის თემის გარეშე არც ახლა ჩაუვლია. ჟურნალისტები დაინტერესდნენ თუ როგორია პირადად კ. ასათიანის აზრი ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით. „მე ღრმად არ ვიცნობ იოჰან ბოსკამპის, როგორც მწვრთნელის საქმიანობას, მაგრამ თუ იგი გაითვალისწინებს წინამორბედთა შეცდომებს, სწორად განალაგებს ფეხბურთელებს გუნდში და მაქსიმალურად გამოიყენებს თითოეულის პოტენციას, კიდევ შეიძლება რაღაც იმედი ვიქონიოთ" – აღნიშნა კახი ასათიანმა.

# ისევ ევერესტი, ისევ ჩვენები...



ერთი თვის განმავლობაში, რომ ერთი ქვეყნის ორი ექსპედიცია მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალს იპყრობდეს, იშვიათი შემთხვევაა. არადა, ისეთმა ალპინისტურმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ეს შეძლო. 12 მაისს, როგორც ვიუწყებოდით, ევერესტზე ფეხი შედგა ჩვენმა პირველმა ჯგუფმა ბენო ქაშაკაშვილის ხელმძღვანელობით. ახლა კი ეს ცათაბჯენი ჩრდილოეთ კედლით ქართველთა მეორე ექსპედიციამ დალაშქრა გია თორთლაძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში შედიოდნენ გია თორთლაძე, მერაბ ნემსიწვერიძე, მამუკა ციხისელი, მერაბ ხაბაზი და ირაკლი უგულავა. ექსპედიციას ახლდა ექიმი ზურაბ ასტახიშვილი.

დღეს, 28 მაისს, ვენაში ჩასვლის შემდეგ, შინ ბრუნდება ბენო ქაშაკაშვილის ექსპედიცია. თვითმფრინავს ვენიდან თბილისის აეროპორტში 17 საათზე მოელიან.

„ბუმათე"

## პაატა გვასალია ასი პროცენტით ჩვენია

ეს განაცხადა გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა. როგორც ცნობილია, ქართველი მოკრივე ადრე რუსეთში გადავიდა და ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობდა. შემდეგ პაატა სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ კარგა ხანს გაურკვეველი იყო ჰქონდა თუ არა მას უფლება დაეცვა საქართველოს სპორტული ღირსება. ახლა ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარებულია – რუსეთის კრივის ფედერაციიდან და ქვეყნის სპორტული ორგანიზაციებიდან მიღებულია დასტური, რომ ამ მოკრივეს არანაირი ვალდებულება აღარ აკავშირებს რუსეთთან. ასე რომ, პაატა გვასალიას სრული უფლება აქვს გამოვიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში საქართველოს სახელით და, რაც მთავარია, იბრძოლოს მომავალი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად.



## მილოცვა



საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ყველა დროის გამოჩენილ ქართველ წყალბურთელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს *გივი ჩიქვანაიას*.

## თუ სასწაული არ მოხდა, ჩვენს, ხელბურთელებს შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა განადგებული აქვთ

(იხ. მე-5 გვ.)

ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე



## ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი ოქროს ასოებით შევიდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ჯერ იყო და თბილისის დინამოელებმა 18 ნოემბერს საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში მოსკოვის „ტორპედოს" დამარცხებით პირველად შეძლეს მოეპოვებინათ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის ოქროს მედლები, ხოლო 22 ნოემბერს „პახთაკორის" სტადიონზე ქუთაისის „ტორპედომ" დაამარცხა ქ. გორკის „ვოლგა" ანგარიშით 4-2 და შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ალბათ ფეხბურთის სპეციალისტებს თუ მრავალმილიონიან გულშემატკივართა არმიას დიდხანს არ დაავიწყდებათ როს მედლების კანონიერ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ, მაგრამ იმას, რაც ქუთაისში მოხდა, არავინ მოელოდა და პირველ რიგში არ მოელოდნენ კიეველი ფეხბურთელები. ქუთაისელებმა აღნიშნული მატჩი მაღალ სპორტულ დონეზე წარმართეს. დამცველის ი. ლოსაბერიძის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა ორი ქულა მოუტანა ქართველ ფეხბურთელებს, ხოლო კიეველებს წყალში ჩაუყარა მთელი წლის ნაჯაფ-ნაამაგარი. მოსკოვის ტორპედოელებმა ერთი ქულით გადაასწრეს უკრაინელ ფეხბურთელებს დარჩენილ ორ მატჩში შეძლეს ამ უპირატესობის შე-


1965 წ., ქუთაისის „ტორპედო"

1965 წლის საკავშირო ჩემპიონტის ფინიში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობისათვის ბრძოლამ დაძაბულობის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

კიევის „დინამოელები" მთელი სეზონის მანძილზე დამაჯერებლად იდგნენ გათამაშების ცხრილის სათავეში და ოქ-

ნარჩუნება და მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის 1965 წლის ჩემპიონის ოქროს მედლები. კიეველი ფეხბურთელები ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ.

1964 წლის საკავშირო ჩემპიონატში მოსკოვის „ტორპედოელებმა", რომლე-

დასაწყისი. იხ. „ლელო" №36, 37, 38, 39

იხ. მე-4 გვ.

# საუკუნის წყალბურთელი...

სათაური ვერ ასახავს გივი ჩიქვანაიას ოსტატობას — დიდ ოსტატობას, წყალბურთის კორიფეობას — მის ლეგენდარულობას... შეუდარებელი რომ იყო, ნათელია, მაგრამ... განუმეორებლობის გარდა, ყველაზე უძლიერესი წყალბურთელი იყო ყველა დროსა და ყველა განზომილებაში, ყველა ქვეყანაში... თავად განსაჯეთ: ნებისმიერი დონის ტურნირებში, ოლიმპიურ თამაშებში, ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო თუ საკავშირო პირველობებზე, სადაც გივი ჩიქვანაიას უთამაშია, იგი აუცილებლად შეჰყავდათ იდეალურ ნაკრებში და ასახელებდნენ ნომერ პირველ წყალბურთელად.

წყალბურთი რომ უნიკალური თამაშია, ყველამ იცის (საერთოდ ჩვეულებრივ ბურთს რომ მიწაზე თამაშობენ, ისიც იცით...), ამიტომაც ელიტარულია, ლოკალურია და მრავალრიცხოვან ქვეყნებსა და გულშემატკივრებს, ბუნებრივია, ვერ დაიპყრობს, მაგრამ, ადვილი წარმოსადგენია, ვისაც უთამაშია ან მისი მოყვარული — გულშემატკივარი-მაყურებელი ყოფილა, კარგად უნდა იცოდეს, ესმოდეს და, ვინც არ იცის, გაიგოს გივი ჩიქვანაიას ფენომენი... რადგან წყალბურთი უბრალო მაყურებლისათვის ძნელად აღსაქმელია, წყლის ქვეშ „ჭიდაობა-კრივით“ და წყლიდან ზემოთ ამოვარდნილი გაშმაგებული აურზაურით. თავს ნებას მივცემთ პროფესიონალურად, ერთი წინადადებით აგიხსნათ გივი ჩიქვანაიას უძლეველობა...

მსოფლიოს წყალბურთის ისტორიაში მე-20 საუკუნის 50-60-იანი წლებიდან დღემდე იყვნენ და არიან ვარსკვლავები — უძლიერესი და სახელგანთქმული წყალბურთელები (მკრეხელობაში რომ არ ჩამომართვან, გვარებს არ დავასახელებ), მათ რიცხვში შედიან უნგრელი, იუგოსლავიელი, იტალიელი თუ ყოფილი საბჭოთა ნაკრების წარმომადგენლები (რა თქმა უნდა, ჩვენი თანამემამულენიც), მაგრამ მათ ყველას აკლდა უნივერსალობა — ე.ი. ყოველმხრივი — ყველანაირი, ყველა ადგილზე თამაშის უნარი... მოკლედ — ვთქვათ, ერთს ჰქონდა უმაღლესი ტექნიკა და ძლიერი იყო თავდასხმაში, მეორეს არ ჰქონდა სისწრაფე და ძლიერი იყო დაცვაში, მესამეს ჰქონდა სისწრაფეც, ტექნიკაც, მაგრამ სუსტი იყო ორთაბრძოლაში და ა.შ. აქედან გამომდინარე: გივი ჩიქვანაია ერთადერთი წყალბურთელი იყო და, ვგონებ, დღემდე არის ისეთი, რომელშიაც შერწყმული იყო ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტი — თვისება — ელემენტი... მარტივად რომ ვთქვათ, დაცვაში იჭერდა, „ახრჩობდა“ ყველაზე ძლიერ თავდამსხმელს, ხოლო თავდასხმაში რომ თამაშობდა, მისი დაჭერა-ჩაკეტვას ცდილობდა ყველაზე ძლიერი მცველი (ე.ი. არა ის თავდამსხმელი, რომელიც მან „ჩაახრჩო“, არამედ, სპეციალურად მასზე მიჩენილი...), რომელსაც იგი თავის ბუმბერაზ მხრებზე „ჩამოიკიდებდა“, ბურთივით მოისროდა და ბურთიან-მეკარიანად კარში „გადაუძახებდა“... მოკლედ რომ ვთქვათ, წყალში — აუზის სიბრტყეზე კი არ დაცურავდა-თამაშობდა, არამედ, თითქოს ზემოდან დაცურავდა — „დააბიჯებდა“, „დააფრინდებოდა“ მოწინააღმდეგეს...



ასეთი შეუპოვარი, ჟინიან-ჯიგრიანი, თამაშით-ბრძოლით, შემოიარა — ბეჭებზე „შემოიგდო“, მსოფლიოს ყველა ცნობილი ვარსკვლავი... ეს იყო რომში ოლიმპიურ თამაშებზე, გერმანიაში, ჰოლანდიაში თუ იუგოსლავიაში — ევროპის პირველობაზე, მექსიკის ოლიმპიადაზე, თუ მსოფლიო უნივერსიადაზე... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ ჩვენო წყალბურთის ლომო-ვეშაპო, გმირო-ვარსკვლავო, განუმეორებელო... ჩვენი თაობის და შემდეგი თაობის წყალბურთელები კი არა, ნურავის ეწყინება და იშვიათია — ერთეულია სხვა სპორტის სახეობების წარმომადგენლები თავის კონკრეტულ სახეობაში, ასეთი სახელი რომ მოეპოვებინოს საერთაშორისო ასპარეზზე არა მხოლოდ სპორტული წოდებების — ტიტულების მხრივ, არამედ, თავისი თვითმყოფადობით, განუმეორებლობით, სიძლიერით...

ჯერჯერობით სულ საერთაშორისო მასშტაბები ვახსენეთ და მთავარი დავივიწყეთ, უმთავრესი! როგორ ემსახურა ჩვენი გივი თავის სამშობლოს, თავის ქალაქს, თავის გუნდს... ყველა წარმატება ხომ ბავშვობიდან იწყება... გივი ჩიქვანაიას წყალბურთელობა ხომ რიონის ნაპირებიდან იღებს სათავეს... ქუთაისში, რიონის პირას გაზრდილმა მაღალმა, ხმელმა, ბეჭაბრტყელმა, გრძელ ხელ-ფეხება, მოხდენილმა ბიჭმა ერთ თვეში სპორტული ცურვა ისწავლა ლითოფონის ქარხანაში ცნობილი, წყალბურთზე თავდადებული — სელექციონერი-მწვრთნელის — დიმიტრი ხორავას მეშვეობით, ერთ თვეში წყალბურთის თამაში და ორ თვეში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. ჩვენმა სახელოვანმა მწვრთნელმა, აწ განსვენებულმა როსტომ ჩაჩავამ 1957 წლის დასაწყისში თბილისის დინამოში აიყვანა და იმავე წელს, 18 წლისას, უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრებში დაუწყეს თვალთვალი და ერთ წელიწადში ძირითად შემადგენლობაშიც შეიყვანეს...

1958 წლიდან, რაც საქართველოს ნაკრებმა და თბილისის „დინამომ“ წარმატებებს მიაღწია, გივი ჩიქვანაიას რომ „ლომის“ წილი მიუძღვის მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, მით უმეტეს, მისი კოლეგა-მეგობრებისათვის. ამას მუდამ ადასტურებდნენ როსტომ ჩაჩავა, ნოდარ გვახარია, ვასო სანაძე, რეზო ოჩიგავა და სხვები, ამ დღეების მომსწრენი — ლერი გოგოლაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ბორის მეგედი, ვოვა ისელიძე, ნოდარ კურტანიძე, ჯუმბერ წიკლაური, ლადო გიორგაძე, ჯიმი თორთლაძე, ვოვა გოიაშვილი, მურთაზ გულედანი, მიხეილ გიორგაძე, ზურაბ ჩაჩავა, მერაბ მგელაძე, თემურ ჯიბლაძე, რამაზ ხუნწარია, ზურაბ ლომიძე, სოსო ნიჟარაძე, ოთარ იოსელიანი, დათო რურუა, თენგიზ ჩიხლაძე, ვალიკო დადიკაძე, თემურ უშანგიშვილი, გელა ტუკვაძე, თენგიზ ივანიშვილი, სხვები და სხვები. სწორედ მისი ღვაწლით მოხდა საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ „დამოძღვრა“. ხალხთა სპარტაკიადებზე ორჯერ ვერცხლისა და ერთხელ ბრინჯაოს მედლებით, ამას დაუმატეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ექვსჯერ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მოპოვება და უამრავ საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირებში გამარჯვება...

შემდეგ, ასეთი დიდი სპორტული „ოდისეა“ ლამის შეწყდა, მაგრამ გივიმ უდიდეს საქმეს არ უღალატა. მართალია, სამშობლოდან გულდაწყვეტილი და „მხრებჩამოშვებული“ გაუშვეს (იმდროინდელი ჩინოვნიკების უყურადღებობისა და უსულგულობის გამო... არ ღირს აქ საუბარი, სადღესასწაულო წერილია...), მოსკოვს მიაშურა, იქ „დააპურეს“, პირობები შეუქმნეს და... მოსკოვის „დინამო“, რომელიც წლების მანძილზე უძლეველი გუნდი იყო და იმ პერიოდში სულს ღაფავდა (დიდმა წყალბურთელმა პეტრე მშვენიერაძემ თამაში დაამთავრა...), გივი ჩიქვანაიას წყალობა — წყალბურთელობით ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონობა! (ამ გამარჯვების 90% მისი დამსახურება იყო), ხოლო შემდეგ მწვრთნელად აირჩიეს, ბუნებრივია, მისი ცოდნისა და გამოცდილების დაფასების გამო. გ. ჩიქვანაიას ორგანიზატორული თვისებებითა და საერთაშორისო ავტორიტეტით, მოსკოვის „დინამო“ სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ერთხელ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი. შემდეგ ახლის იმედით, თავის მშობლიურ ქვეყანაში — საქართველოში დაბრუნდა, კვლავ ჩაუდგა ჩვენს გუნდს სათავეში, იმედით სულდგმულობდა, იმედით და იმის ოცნებით, რომ კვლავ ააღორძინებდა თავის საყვარელ გუნდს. უამრავი ტალანტიც მონახა, არაერთი საერთაშორისო დონის ჭაბუკებიც დააფრთიანა და პერსპექტივის ფონიც შეუქმნა გუნდს (1968 წლიდან მოყოლებული დაღმავლობის გზაზე მყოფი გუნდი, მისი ჩამოსვლის შემდეგ, რამდენიმე თვეში, საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1990 წელს „პლეი-ოფისათვის“ იბრძოდა...).

შემდეგ კი... მოხდა ის, რაც დღემდე ვერ მოვიშუშეთ... ჩვენი საერთო ტრაგედია, სიდუხჭირე და ყველანაირი გასაჭირი...

ეჰ, სპორტისათვის ვილას სცალია, ჩემო გივი! მაგრამ... სულ მალე, იმედია, დადგება დრო, კვლავ დაბრუნდები შენს სამშობლოში, შენი ლამაზი ცოლ-შვილით და შვილიშვილებით, შენი გენი — ჯიში, კვლავ შემოაბიჯებს შენი დედ-მამის მამულში, ე.ი. იქით — კახეთში, აქეთ სამეგრელოში და, რაც მთავარია, შენს ქუთაისში, შენს თბილისში, შენს ერთიან საქართველოში, მისი ყველა კუთხე-კუნჭული რომ გიყვარდა და გიყვარს მუდამ, შენს დაიკოსთან და მის ოჯახთან ერთად ყველგან რომ ყოფილხარ და შემოგივლია...

განა ტყუილად სწავლობდი ჩვენს სათაყვანებელ უნივერსიტეტში — ისტორიის ფაკულტეტზე? სამშობლოს სიყვარული და ისტორიის შესწავლა იყო მუდამ შენი „საგზალი“ ამ დიდსა და წარმატებით სავალ გზებზე... შენი უნივერსიტეტელი მასწავლებლები ამაყობდნენ შენით, შენ ხომ ისეთი დიდი მოძღვრები გყავდა, დღემდე რომ უნივერსიტეტის საკრალური სახელებია — აწ გარდაცვლილი ღრმად პატივცემული ბატონები: შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი, გივი კიღურაძე... რომლებიც სპორტის დიდი გულშემატკივრებიც იყვნენ და შენ ორმაგად „გპატრონობდნენ“ და, რა თქმა უნდა, დღესაც საღ-სალამათი შენი უფროსი საყვარელი ლექტორები — აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე და პროფესორი კარლო მეშველიანი... შენი ყმაწვილკაცობის მეგობარი და დღემდე შენი დამფასებელი ჩვენი რექტორი, აკადემიკოსი ბატონი როინ მეტრეველი, დღევანდელი შენი იუბილეს სულისჩამდგმელი! შენი მეგობარი მათემატიკოსი უნივერსიტეტელები, სპორტულ გამარჯვებებში შენს გვერდით მდგომი ლერი გოგოლაძე და უნივერსიტეტის პრორექტორი თემურ ხუროძე... ისტორიკოსები, პროფესორები: ვახტანგ ჯანჯღავა და შენი თანაკურსელები — არქეოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ გია ავალიშვილის მეთაურობით და ვინ იცის, კიდევ რამდენი შენი გულშემატკივარი...

ჩვენ, შენი მეგობრები, კოლეგები და საერთოდ ქართველი საზოგადოება, რომლებიც შენს ამაგს აფასებენ და პატივს მოგაგებენ, ყოველთვის შენს გვერდით დადგებიან — იმედით, რომ კიდევაც დაიზრდებიან შენისთანა სპორტსმენები — გმირები, ლეგენდები, როგორც შენი გვარიდან და გენიდან, ისე ერთიანი საქართველოდან. სამოცი წელი — შემოდგომის დასაწყისია, ე.ი. მოსავალს იმკი, იმ დოვლათს, რაც შექმენი, რაც მე კარგად ვერ გადმოვეცი და რაც კიდევ დასათეს-მოსამკელი გაქვს!

გილოცავთ!

ოთარ მიმინოშვილი

# 26 მაისს...







საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით მთელ საქართველოში გაიმართა სხვადასხვა მასობრივი სპორტული ღონისძიებები. თბილისის სპორტული იერსახე, ამ დღეს, თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ (ვ. კანკავა) და განათლების მთავარი სამმართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა გაერთიანებამ (ვ. ჭკუასელი) შექმნეს. გაიმართა მრავალფეროვანი ასპარეზობები, რომელთა შორის ფართოდ იყო წარმოდგენილი სპორტის ეროვნული სახეობები და თამაშობები.



ალექსანდრე კოტორაშვილის და სოსო გაბნიძის ფოტოები

## დებიუტანტი



## თეონა მესხი

ჭადრაკი

***დაიბადა*** 1989 წელს თბილისში.

***ჭადრაკში*** მეცადინეობს 6 წლის ასაკიდან.

***პირველი*** და ამჟამინდელი მწვრთნელი — ზაზა ჭკუასელი.

***სწავლობს*** 147-ე სკოლის IV კლასში.

***მე-100 საშუალო*** სკოლის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელია.

***1998 წელს*** თბილისის ჩემპიონი გახდა თანატოლებში

***1999 წელს*** მოიგო საქართველოს პირველობა გოგონებს შორის და მოიპოვა მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის საგზური, რომლისთვისაც ამჟამად ემზადება. 10 წლამდე გოგონათა ეს პირველობა შემოდგომაზე გაიმართება ესპანეთში.

## ველორბოლა

# ველოსპორტის მოწყალების იმედად დარჩა



საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა ირანის მრავალდღიან საერთაშორისო ველორბოლაში (1173 კმ). შეჯიბრებაში გამოდიოდა 8 ქვეყნის 10 გუნდი: რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, სირია, თურქეთი, მალაიზია და ირანი. საქართველოს ნაკრები გუნდის მომზადება და გამგზავრება მთლიანად დააფინანსა ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ (ვ. კანკავა), დახმარება გაგვიწია აგრეთვე აჭარის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა რ. ცეცხლაძემ.

ტური შედგებოდა 9 ეტაპისაგან. რბოლა წარიმართა დაძაბულად და საინტერესოდ, რაც განაპირობა იმან, რომ ტრასაზე საკმაოდ ტიტულოვანი სპორსტმენები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. რბოლა ქართველი სპორტსმენების აქტიურობით დაიწყო, რამაც შედეგი გამოიღო. კერძოდ, მეოთხე ეტაპზე — მარაპელი-მაჰაბადი (185 კმ) 50 კმ-ით ადრე ჩვენი სპორტსმენი მიხეილ მურადოვი მოსწყდა ძირითად ჯგუფს და ფინიშის ხაზზე პირველი მიიჭრა. საქართველოს ნაკრებს დარჩა გუნდური პირველი ადგილიც. ქართველი სპორტსმენები გამოირჩეოდნენ აგრეთვე შუალედურ ფინიშებზე, არაერთხელ გაიმარჯვეს და ქულები დააგროვეს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო გუნდურ VI ადგილზე აღმოვჩნდით, უცხოელი სპეციალისტების მოწონება გვხვდა. ჩვენმა მრბოლებმა უკან ჩამოიტოვეს თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და აზიის თამაშების ჩემპიონი მალაიზიის გუნდები. აღსანიშნავია ისიც, რომ უსახსრობის გამო საქართველოს სპორტსმენებმა წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა ასეთი რანგის შეჯიბრებაში და რომ არა თბილისის სპორტის სამმართველო, ესეც ჩაგვეშლებოდა, მაშინ, როცა სხვა გუნდები უკვე 6-7 მსგავს ასპარეზობაში გამოვიდნენ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ყველა გუნდი დაკომპლექტებულია უახლესი ინვენტარით, ხოლო ჩვენი სპორტსმენები რუსული, ეგრეთ წოდებული ძველი სამამულო ინვენტარით გამოდიან. შეჯიბრების დროს მისი შეკეთება ვერ ესწრებოდა. და კიდევ, არა გვგონია, ველოსპორტის ფედერაციის მცირე ბიუჯეტით, რომელიც ერთ ღონისძიებას თუ გასწვდება, ჩვენში კვლავ გაიზარდოს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, სულ ცოტა ხნის წინათ რომ გვყავდა.

ირანში საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ: რობერტ ცხოვრებაძე, ლევან მესხიძე, მიხეილ მურადოვი, გიორგი მგელაძე, გარი ბეგლაროვი.

ავთანდილ გუნია,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი



# ზორ-პე-დო!!!

საქართველოს თასის გათამაშება. ფინალი

## ტორპედო (ქუთაისი) – სამგურალი (წყალტუბო) 0-0 (დამატებითი დრო 0-0)

### პენალტებით 4–2

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-0 | ჯანაშია | 3-1 | იმედაძე |
| 1-0 | ჯინჭარაძე | 3-2 | შენგელია |
| 2-0 | მაზანიშვილი | 4-2 | იონანიძე |
| 2-1 | სუხიაშვილი | 4-2 | კილასონია |

***ტორპედო:*** ჭანტურია, ახვლედიანი (იმედაძე, 55), იონანიძე, მაღლაკელიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, კვეტენაძე, თურმანიძე, ჯანაშია, მეგრელაძე, ჩხეტიანი (მაზანიშვილი, 65).
***სამგურალი:*** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, ჯანელიძე, კილასონია, აფციაური (ჯინჭარაძე, 78), ჯუღელი, პეტრიაშვილი (დარსაძე, 99), სუხიაშვილი, შენგელია (ფრანგიშვილი, 99).
***გააფრთხილეს:*** მეგრელაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, ჯანელიძე, აფციაური.
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

საქართველოს თასისი მე-9 ფინალი უგოლო და ყველაზე მცირემაყურებლიანი შეიქნა. სხვა მხრივ მას ძნელია წუნი დასდო, რადგან ფინალი, რაც მთავარია, ფინალს ჰგავდა – „სამგურალმა" ღირსეულად იბრძოლა, „ტორპედომ" კი გაიმარჯვა, ეგ იყო და ეგ. ლაკონურობას არ დავიჩემებთ, მაგრამ მოკლედ და სადად მაინც ალბათ ასე ეგების ამ მატჩზე სიტყვის თქმა.

მაგრამ დრამატიზმი?! რას იფიქრებდა კაცი, რომ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე დატრიალებული სათასო ვნებები კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით, მეტი სისასტიკით წარმოჩინდებოდა იმავე საღამოს ცხრა მთასა და ზღვას იქით, კატალონიაში. შესაძლოა, ბევრ ჩვენგანს გია კილასონიას ცრემლებზე უფრო ვიღაც კუფურის და იანკერის გოდებამ აუჩუყა გული. მაგრამ არა, ქართველი კაცის კურცხალი სულ სხვაა, რომელიც ქართული თასის ვერმოგებისთვის იქნა გამეტებული, იმ ქართული თასისათვის, რომლისთვისაც ფეხბურთის ქომაგებმა თავი დიდად არ შეიწუხეს და „კამპ ნოუზე" ფინალს ელოდნენ სულმოუთქმელად... აქეთ „პეტრო", „აფციკა", „კილასა", იქით „ჯანო", „კვეტენა", „ჩხეტო" და ჯიგრიანი ფეხბურთიც გაჩაღდა, ოდინდელ „დინამოს" სტადიონზე. უდინამო ფინალს მაინც რაღაც აკლდა, რისი სიტყვით გადმოცემა ალბათ შეიძლება კიდეც, მაგრამ არა, ეს ალბათ უფრო ავყიების საქმეა. ჩვენებურ სათნო კაცს კი ყველანაირი ქართული თასის ფინალი უხარია.

ქუთათურებისგან უფრო შთამბეჭდავად გამოსვლას ველოდით. მათი სიფრთხილე ლაზათს უკარგავდა თამაშს. ვერც იოჰან ბოსკამპის რჩეულ ბადრი ახვლედიანის ინერტულობას იგუებდა კაცი. მოშიშვლებული იყო ტორპედოელთა მარცხენა ფრთაც, სადაც ირაკლი მაღლაკელიძეს აშკარად უჭირდა გიორგი შენგელიასთან, ხან კი დათო პეტრიაშვილთან პაექრობა და თან შეტევებში ჩართვაც. „სამგურალი" მატჩის დებიუტში მართლაც, რომ დომინირებდა. მინდვრის ცენტრს სწრაფად ეუფლებოდა და წინ ძირითადად პეტრიაშვილის ინდივიდუალიზმზე აკეთებდა გათვლას. ალბათ ამიტომაც იყო, რომ რიონისპირელთა თავკაცმა ჯემალ ხერხაძეც კახა ჩხეტიანი ნახევარდაცვის ცენტრში გაამწესა, სადაც „სამგურალის" ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა მოქმედებდა (აფციაური – კილასონია). წყალტუბოელთა სახიფათო მომენტებიდან, რა თქმა უნდა, უმთავრესი შენგელიას ძელს მორტყმული თავური გახლდათ, როცა კილასონიამ საჯარიმო ჩაჰკიდა ტორპედოელთა კარის გასწვრივ. რიონისპირელებმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს თამაში და ერთი ორი მწვავე იერიშიც მიიტანეს ასლანაძის კარზე, მაგრამ კვეტენაძემ ბოლო მომენტებში ვერ ივარგა.

მეორე 45 წუთში „ტორპედო" უფრო მეტს ფლობდა ბურთს და უტევდა, თუმცა, სიმწვავით მაინც „სამგურალის" იერიშები გამოირჩეოდა. დადგა მეკარეთა პენალტებით გამოცდის მომენტიც – ჭანტურიამ კილასონიას ჩაუყარა გარჯა წყალში, ასლანაძემ კი ჯერ მაღლაკელიძეს დარტყმული უკუაგდო, მერე კი ჩხეტიანის. როცა მატჩის ძირითადი დრო დასასრულს უახლოვდებოდა „სამგურალს" დაღლა დაეტყო. შეცვლა ითხოვა აფციაურმა, ჯუღელი რის ვაი-ნაჩრობით აგრძელებდა თამაშს ტრავმის და გადაღლის გამოც. რიგ ფეხბურთელებს ხშირად კუნთი ეჭიმებოდათ და სამედიცინო დახმარებას მოითხოვდა. დამატებით დროში კი აშკარა გახდა, რომ „ტორპედო" გაცილებით ქორფად გრძნობდა თავს, მაგრამ მათ რიგებში არ აღმოჩნდა ცეცხლის დამნთები ფეხბურთელი თუ ფეხბურთელთა ჯგუფი. „ტორპედო" ასეთ დროს აშკარად საჭიროებდა ინდივიდუალიზმს, ერთი პირობა ჯანაშია ცდილობდა რაღაც ეღონა მაგრამ არა... მახვილაძე, ბურნაძე და ვოსკანოვი ერთობ ფხიზლობდნენ, ფუმც 11-მეტრიანების სერიამ ბანალურ და ალბათ ლოგიკურ შედეგამდეც მიიყვანა 26 მაისის საღამოს ქართული ფინალი.

დათო თავართქილაძე

# კოვერჩიანო ქართველებმაც დააჭაშნიკეს

...ერთ-ერთი პირველი, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ამ საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევისას განაცხადა, ის გახლდათ, რომ ყველანაირად შეუწყობდა ხელს ქართველი მწვრთნელების უცხოეთში სტაჟირებას თუ სხვადასხვა სემინარზე მივლინებას. თანაც ისეთი კონკრეტული „მისამართები" (კიოლნის მწვრთნელთა სკოლა, კოვერჩიანო, ჰოლანდია და ასე შემდეგ) დასახელდა, ბევრს, ალბათ, გულში გაეცინა კიდეც – ამ ჩვენ პრეზიდენტს, ეტყობა, მდიდარი ფანტაზია აქვსო. თუმცა, გამოხდა ხანი და ის სკეპტიკოსები დადუმდნენ – მერაბ ჟორდანიას დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის წყალობით, ერთდროულად 14 (!) ქართველი მწვრთნელი სტაჟირებაზე, არც მეტი, არც ნაკლები, კოვერჩიანოში გაემგზავრა! ბევრმა იცის, მაგრამ, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ეს კოვერჩიანო საქვეყნოდ განთქმული ბევრი რამით არის – ჯერ ერთი, მსოფლიოში ყველაზე „ლამაზ-ქალაქზე" პრეტენზიის მქონე ფლორენციის მახლობლად მდებარეობს; მეორე – აქ ემზადება ყოველი მატჩისათვის იტალიის ნაკრები და მესამეც – მთელი წლის განმავლობაში კოვერჩიანოში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი იყრის თავს. თანაც, ერთობ საპატიო, მაგრამ ამავე დროს ურთულესი და არანაკლებ უმადური პროფესიის ხალხზე, მწვრთნელებზეა საუბარი, მიხვდით, ალბათ. და ამ კოვერჩიანოს მწვრთნელთა სემინარზე (გნებავთ, კვალიფიკაციის ამაღლება დავარქვათ – ადრე ხომ მოდაში იყო?) ამა წლის ოქტომბრამდე ადგილები შევსებული ყოფილა, მაგრამ ზემოთ რომ მერაბ ჟორდანიას საერთაშორისო ავტორიტეტი ვახსენეთ, სწორედ ამის წყალობით მიქელანჯელოსა და რაფაელის მშობლიურ ქალაქში ერთდროულად 10 (!) ქართველი მწვრთნელი გაემგზავრა, თუმცა ორ დღეში მათ კიდევ ოთხი თანამემამულე კოლეგა დაემატა და ეს 14 კაციც თბილისში, ამას წინათ ცოდნაგაღრმავებული, უამრავი შთაბეჭდილებებითა და, ალბათ, ცოტა დარცხვენილნიც (თვითკრიტიკა აუცილებელია, მით უმეტეს, მწვრთნელებისათვის) ჩამოვიდნენ – თურმე, ჯერ სადა ვართ...

ისე, ალბათ, დროა ამ 14 მწვრთნელის ვინაობაც გაგიმხილოთ, რომლებსაც ეს დიდი პატივი ერგოთ: ჯონი ჯანელიძე, სოსო ფრუიძე, ოთარ კორღალიძე, სოსო ჭედია, ასლან ბალაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, გია გეგუჩაძე, თენგიზ კაცია, კობა ჟორჟიკაშვილი, გოჩა ავსაჯანიშვილი, გელა გომელაური, გია ლეჟავა და დათო ჩახავა. აქედან სამ მწვრთნელთან – ჯონი ჯანელიძესთან, ოთარ კორღალიძესთან და გოჩა ავსაჯანიშვილთან ერთობ საინტერესო დიალოგი გამოგვივიდა ჟურნალისტებს. ამ შეხვედრის ინიციატორი კი, მამუკა კვარაცხელია გახლდათ, რომელზეც ადრე, მოკლედ ვიტყოდით ხოლმე – ჩვენი კოლეგა! ახლა მას კი იმდენი ოფიციალური თუ არაოფიციალური თანამდებობა აქვს სფფ-ში, სიზუსტეზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ... დიახ, ეს იყო გულახდილი დიალოგი სამ იტა-

იხ. მე-4 გვ.

დაიმახსოვრეთ ეს სახეები და სახელები

# ბავშვებიც მიხვდნენ, რა უნდა იოჰან ბოსკამპს



„ავაზას" საფეხბურთო სკოლის ბაზაზე დასრულდა მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი 1987 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

სკოლამ (დირექტორი მიხეილ მესხი – უმცროსი, მწვრთნელი ანზორ ზუკაკიშვილი) და ფეხბურთის ფედერაციამ ყველა ღონე იხმარეს, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ნორჩ ფეხბურთელებს თავი ნამდვილ სპორტულ ბრძოლაში გამოეცადათ.

ქობულეთის, გორის, რუსთავისა და თბილისის წარმომადგენლები სამ ხუთ-ხუთ გუნდიან ჯგუფად განაწილდნენ.

ნახევარფინალებში თბილისური გუნდები გავიდნენ. ერთნაირი ანგარიშით 3-0 „ნორჩმა დინამოელმა" დაამარცხა „ოლიმპიკი", „ავაზამ" – „აისი (35-ე საფეხბურთო სკოლა).

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში გაიმარჯვა „ოლიმპიკმა" (მწვრთნელი გ. გომელაური), ფინალში კი ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ძველი მეტოქეები – „ნორჩი დინამოელი" (მწვრთნელი ზ. ებრალიძე) და „ავაზა" (მწვრთნელი ა. ზუკაკიშვილი). დაძაბული და საინტერესო მატჩი დამთავრდა „ავაზას" გამარჯვებით 2-0.

პრიზიორებს გადაეცათ სამახსოვრო თასები.

აღსანიშნავია, რომ „ავაზამ" შვიდ მატჩში 41 გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი მიიღო. მაგრამ უფრო საინტერესო ის იყო, რომ გუნდი თამაშობდა ტაქტიკურად გამართულ, თანამედროვე ფეხბურთს, რაც ჩვენთან ასეთი იშვიათობაა არათუ ბავშვთა, დიდების ფეხბურთშიც. ეტყობა, ბავშვთა მწვრთნელები უკვე ითვალისწინებენ იოჰან ბოსკამპის შენიშვნას ქართული ფეხბურთის ამ მთავარ ნაკლზე.

ტურნირი არა მხოლოდ შეჯიბრებისათვის, მეგობრობისთვისაც უნდა იყოს. ამის დასტური იყო „ავაზას" ფეხბურთელების მაგალითი, რომლებმაც ერთი კვირის განმავლობაში თავიანთ ოჯახებში უმასპინძლეს ქობულეთელ თანატოლებს.

დაბოლოს, გაგაცნობთ მიხეილ მესხის სახელობის ტურნირის გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას. „ავაზას" ღირსებას იცავდნენ: მ. ალიბეგაშვილი, ი. გაგუა, ნ. მაჭავარიანი, პ. ხორგუაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ს. ბიბილაშვილი, გ. ბიბილაშვილი, ი. ხარაძე, ნ. კერესელიძე, გ. ამირხანაშვილი, ი. ჩირიკაშვილი, ბ. გულაშვილი, ს. კობახიძე, ვ. ნატროშვილი, ნ. ქავთარაძე, გ. თავბერიძე, გ. მურვანიძე, ლ. ალექსანიანი, გ. თეთრაძე, გ. ფერაძე, ვ. ლომთათიძე, თ. ნათაძე, ლ. გეწაძე.

პრესკონფერენცია

# მჭერმეტყველება მაზრის წინ?



დილმის ბაზაზე ჩვენი ეროვნული გუნდის და თბილისის „დინამოს" თავკაც იოჰან ბოსკამპის პირველი პრესკონფერენცია საოცრად მხიარულ და შინაურულ ატმოსფეროში ჩატარდა. ისე, კაცმა რომ თქვას, თბილისში ყველანაირი რანგის მწვრთნელებს გაუმართავთ ჟურნალისტებთან დიალოგი, მაგრამ ბოსკამპისნაირი სადა და უშუალო, გულღია იუმორი ჯერ არავის ახსოვს. საქართველოს ეროვნული გუნდის ტრუსში გამოწყობილი იოჰანი ფეხბურთელებითურთ გვეახლა, სალიმიტო დროდ 45 წუთი დაგვითქვა და პრესკონფერენციაც დაიწყო. შევიტყვეთ, რომ ისრაელის „აშდოდის" კარის დარაჯს აკაკი დევაძეს უარი შემოუთვლია ეროვნულ გუნდში თამაშზე, აქაოდა, კლუბში მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მელისო. მერე იოჰანი ყბადაღებულ პატრიოტიზმის საკითხზე აალაპარაკა ერთმა ღვაწლმოსილმა ჟურნალისტმა, რაზეც ბოსკამპმა შემდეგნაირად მოუჭრა: „მეც, ჰოლანდიელ კაცსაც თქვენსავით ორი ფეხი და ხელი მაქვს, ასე რომ, ფეხბურთელებისთვის სათანადო განწყობის შესაქმნელად ხელს არაფერი შემიშლის".

ფრაიბურგელმა ლევან ცქიტიშვილმა თანაკლუბელ ლევან კობიაშვილზე გვითხრა, რომ ექიმებმა ორკვირიანი სამკურნალო ციკლი დაუნიშნეს, რის გამოც ნაკრების უახლოეს მატჩებში მისი მონაწილეობის ალბათობა ძალიან მცირეა.

რაღაც უცნაურად მხიარულ ხასიათზე მყოფ ბოსკამპს კი, შემდეგ კითხვებზე მოუწია ხან დადინჯება, ხან კიდევ უფრო მეტი იუმორის წარმოჩინება.

● ***როგორ თვლით, რა აკლდა ჩვენს ნაკრებს ბოლო მატჩებში?***
– თუ ამაში გამარკვევთ, მაშინ თქვენი დიდი მადლიერი ვიქნები.

● ***რა ტაქტიკით ითამაშებს საქართველოს ნაკრები ნორვეგიელებთან 30 მაისს? რამდენ თავდამსხმელს დააყენებთ?***
– თერთმეტი კაცი წინ და თერთმეტივე უკან. ახლა ასეა, გუნდის შეტევა მეკარეთი იწყება, დაცვა კი ფორვარდებით.

● ***მაინც როგორ აპირებთ ნორვეგიაში წარმატების მიღწევას?***
– ჰო, ამისათვის ნორვეგიელებზე ერთით მეტი ბურთი უნდა გავიტანოთ.

● ***იქნებ მათზე ორი ან უფრო მეტი ბურთითაც დავწინაურდეთ...***
– მთავარია, ერთიანი, შეკრული გუნდი შევქმნათ, რასაც აუცილებლად მოჰყვება წარმატებები.

● ***წინა პრესკონფერენციაზე თქვენ სიურპრიზებს დაგვპირდით...***
– განა სიურპრიზი არ არის ეროვნულ ნაკრებში 17 წლის ფეხბურთელის (ბოსკამპი ხიზანიშვილს გულისხმობდა – დ.თ.) გამოძახება? კიდევ ის, რომ ახალგაზრდული ნაკრები ძირითადად ახალი, 1979-80 წწ. დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტდა. ხოლო თუ შოთა და აჩიკო ვერ გამოჯანმრთელდებიან, მაშინ ახალგაზრდული ნაკრებიდან კიდევ დავიმატებთ დებიუტანტებს.

● ***გიორგი ქინქლაძეს რატომ არ უხმეთ?***
– ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ფაქტობრივად ერთი წელი არ უთამაშია „აიაქსის" პირველ გუნდში, იგივე შემიძლია ვთქვა გოგა გახოკიძეზეც.

● ***ნორვეგიელებთან მატჩის მერეც ასეთ კარგ ხასიათზე იქნებით?***
– ცხოვრება გრძელდება. ახლა კი ვიცინი, მაგრამ მერე რა იქნება, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

დათო თავართქილაძე

# კოვერჩიანო ქართველებმაც დააჭაშნიკეს

(მესამე გვერდიდან)

ლიაგამოვლილ მწვრთნელსა და სულ ოდნავ მეტ ჟურნალისტს შორის. სამწუხაროდ, ზუსტად იმ დროს ჩვენი კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების ბოლოდროინდელი „ვაჟკაცური" ასპარეზობისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია მიმდინარეობდა და ქართველ სპორტულ კალმოსანთა უმრავლესობამ სწორედ ეს უკანასკნელი არჩია. არადა, ქართული კალათბურთი მართლაც რომ დასამარების გზაზეა, ეს ნამდვილად არ ეთქმის ქართულ ფეხბურთს. ყოველ შემთხვევაში ზემოხსენებულმა სამეულმა იტალიური შთაბეჭდილებების გაზიარებისას (რაც, ფაქტობრივად, დანარჩენი 11-ის აზრიც იქნებოდა) იმედი გამოთქვა, რომ ყველა იქ მიღებულ გამოცდილებას მაქსიმალურად მოხმარდება ჩვენს ფეხბურთს. თანაც, თუ სიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი ერთობ „მრავალფეროვანია" — ბავშვთა ფეხბურთში, პირველი და მეორე ჯგუფის გუნდებში საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში მომუშავე მწვრთნელები იყვნენ ერთი კვირის მანძილზე ბეჯითი მოსწავლეების როლში. ისე კი, მოსაყოლი მართლაც ბევრი ჰქონდათ ჯანელიძეს, ავსაჯანიშვილსა და კორღალიძეს — „ფიორენტინას" ვარჯიშზე (იქით ბატისტუტა დარბოდა, აქეთ ედმუნდო, ცოტა გვერდით — რეი კოშტა და ასე შემდეგ) თუ ჯოვანი ტრაპატონის ლექციაზე დასწრება; რონალდოს თვეში თურმე 7 მილიონი (!) დოლარი ხელფასი რომ ჰქონია, თუ რობერტო ბაჯო 6 მილიონ დოლარში ვილაც „საქმოსანს" როგორ „გადაუგდია"; მცველების ერთ ხაზზე თამაშის უპირატესობაზე თუ „კუპერის" ტესტის ძველმოდურობაზე...

მოკლედ, ამ ერთობ საინტერესო მისიას არანაკლებ საინტერესო გაგრძელება უნდა მოჰყვეს — როგორც მამუკა კვარაცხელიამ გვაცნობა, სულ მოკლე ხანში ქართველ მწვრთნელთა ჯგუფი (არ არის გამორიცხული ზოგიერთი ისევ ამ 14-დანაც მოხვდეს) ჰოლანდიაში გაემგზავრება ორკვირიან კურსებზე: დღის წესრიგიდან არ მოხსნილა კიოლნისა და მოსკოვის მწვრთნელთა სკოლები და, რაც მთავარია, იმავე კოვერჩიანოშიც დიდი შანსია, რომ წლეულს კიდევ მოხვდნენ ქართველები. ამასთან, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მერაბ ჟორდანიას მოწვევით თბილისში ჩამოვიდეს საქვეყნოდ აღიარებული სპეციალისტი მილიან მილიანიჩი, რომელიც რამდენიმე ლექცია-სემინარს ჩაუტარებს ქართველ მწვრთნელებს. და საერთოდ, ნელნელა იქით მივდივართ, რომ ყველა საქმეში მხოლოდ პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ და ამ მხრივ ჩვენთან დღემდე თუ არ იყო, ამის შემდეგ სიტუაცია, ალბათ, გამოსწორდება. იგივე ბავშვთა ფეხბურთში დღეს ნებისმიერ დილეტანტს (ალბათ, რომელიმე აღსაზრდელის ფულიანი მამიკოს შემწეობით) შეუძლია გუნდი შექმნას და ათასნაირ ტურნირებში იასპარეზოს. არადა, ადრეულ ასაკში არასწორად მიღებულ დატვირთვებსა თუ საერთოდ, არასწორად წარმართულ სამწვრთნელო პროცესს, ერთობ სავალალო შედეგები მოაქვს. აბა, სად გაგონილა 10-12 წლის მოზარდებში ჯვარედინი თუ „აქილევსის" მყესების გაწყვეტა?

მოკლედ, მართლაც საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი და ახლა უკვე იმის იმედზე უნდა ვიყოთ, თუ როგორ გადმოიტანენ ჩვენი მწვრთნელები უცხოეთში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას საკუთარ კლუბებში.

დაბოლოს, გვინდა თხოვნით მივმართოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესაბამის განყოფილებას, რომ ქართველი მწვრთნელების მორიგი საზღვარგარეთული სემინარიდან დაბრუნების შემდეგ სასურველი იქნებოდა ჟურნალისტების გარდა, შეხვედრაზე ჩვენი მწვრთნელებიც მოგვეწვია — კოლეგებს ხომ საერთოდ სასაუბრო არ გამოელევათ, მით უმეტეს, ასეთ დიდ საქმეს ვინც ემსახურება...

**გია ტუხაშვილი**

---

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# II ჯგუფი, მიმოხილვა

24 მაისს დასრულდა ქვედა ლიგის მატჩები, მაგრამ ჯერ თითქმის არაფერი გარკვეულა. აღმოსავლეთ ზონის გამარჯვებულნი არიან „დინამო-2" (1 ქვეჯგუფი) და ძველი ანაგის „ლარწყალი" (II ქვეჯგუფი), ხოლო დასავლეთ ზონაში ყველას აჯობეს ხობის „კოლხეთმა" და ვანის „სულორმა". 7-8 ივნისს დანიშნულია პლეი-ოფის მატჩები, სადაც გამოვლინდება ზონის გამარჯვებული ორი გუნდი და ისინი პირდაპირ დაიკავებენ ჩამოქვეითებულების — „ოდიშის" და „გურიის" ადგილს. დამარცხებულები კი ერთმანეთში გაითამაშებენ იმ ადგილს, რომელიც უნდა შეხვდეს „სიონი" — „თსუ-ს" შორის წაგებულს. ასე რომ, საინტერესო ბრძოლები ჯერ წინაა.

აღმოსავლეთ ზონის I ქვეჯგუფში „დინამო-2" აშკარად ყველა გუნდზე მაღლა იდგა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათი ძირითადი ბირთვი 18 წლამდე ნაკრებში თამაშობენ, ხოლო თუ როგორ თამაშობენ, ეს კარგად გამოჩნდა ამას წინათ ჩეხებთან შეხვედრებში. „დინამო-2"-ის მწვრთნელს ბორის სიჭინავას კი ეჭვიც არ ეპარება, რომ „ლარწყალს" იოლად გასცდება, თუმცა, ვნახოთ...

II ქვეჯგუფში კი ისეთი ბრძოლები იყო, თქვენი მოწონებული. სეზონის დასაწყისშივე გამოიკვეთა შსს აკადემიის და ძველი ანაგის „ლარწყალის" ამბიციები. ქიზიყელებმა ნამდვილი სიურპრიზი შემოგვთავაზეს. გუნდს ხელი მოჰკიდა საიმედო პრეზიდენტმა ავთო მანგოშვილმა. მან ჩინებული პირობები შეუქმნა მწვრთნელს ანზორ გრძელიძეს და საკმაოდ კარგი მოთამაშეები შეიძინა. და მაინც, ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა, რომ არა ბოლო ტურში აკადემიელთა სენსაციური ფრე თელაველებთან, ისიც საშინაო მატჩში. ჩვენი აზრით, „დინამო-2" — „ლარწყალის" პაექრობა კარგი რამ სანახავი იქნება.

დასავლეთ ზონის I ქვეჯგუფში ვანის „სულორმა" შეძლო გადაესწრო საკმაოდ დაწინაურებულ ზესტაფონელთათვის. მთელი შეჯიბრების მანძილზე იგრძნობოდა „იმერული დერბის" პრინციპულობა და საბოლოოდ სამი წლის წინ უეფამოვლილი „მარგვეთი" დაეცა. „სულორი" ზონის ფინალში შეხვდება, ერთი პირობა, უმაღლესი ჯგუფის ბინადარს — ხობის „კოლხეთს", რომელსაც, უბრალოდ, პრობლემა არ ჰქონია ქვეჯგუფში. აქაც დიდი ციებ-ცხელებაა მოსალოდნელი.

მოკლედ, ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა.

პლეი-ოფი გვაფრთხილებს — წინ ნერვიული და ოფლისმღვრელი თამაშებია. ჩვენც მოთმინებით დაველოდოთ!

**ილია ნანობაშვილი**



---



# გათამაშდა ნოდარ ახალკაცის სახელობის თასი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდეტის ნოდარ ახალკაცის სახელობის რეგიონალური თასის გათამაშება 1986-1987 წლებში დაბადებლ ჭაბუკთა შორის, წრიული სისტემით ორ წრედ მონაწილეობდა 16 გუნდი. პირველი ადგილი დაიკავა ფოთის „ფაზისმა" (მწვრთნელები ნუგზარ ცაავა, ნუგზარ თვარაძე). გამარჯვებულს გადაეცემა ნოდარ ახალკაცის სახელობის გარდამავალი თასი. მეორე ადგილზეა ზუგდიდის „ოდიში-2" (მწვრთნელი გერონტი ნაჭყებია), მესამეზე სენაკის „ეგრისი" (მწვრთნელები გურამ ჩიქობავა, ემზარ კაჭარავა). თასის 1999-2000 წლების გათამაშება სექტემბრიდან დაიწყება.

**გათამაშების საბოლოო ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფაზისი (ფოთი) | 26 | 24 | 0 | 2 | 107-25 | 72 |
| 2. ოდიში-2 (ზუგდიდი) | 26 | 23 | 2 | 1 | 83-14 | 71 |
| 3. ეგრისი (სენაკი) | 26 | 22 | 1 | 3 | 66-20 | 67 |
| 4. კოლხეთი (ფოთი) | 26 | 18 | 2 | 6 | 62-22 | 66 |
| 5. მეგრი-99 (ზუგ.) | 26 | 11 | 4 | 11 | 28-39 | 37 |
| 6. ენგური (ზუგდიდი) | 26 | 11 | 1 | 14 | 50-63 | 34 |
| 7. ლაზიკა (ზუგ.) | 26 | 10 | 4 | 12 | 35-46 | 34 |
| 8. ოდიში (ზუგ.) | 26 | 10 | 4 | 12 | 40-37 | 34 |
| 9. იმედი (ლესიჭინე) | 26 | 9 | 3 | 14 | 49-72 | 30 |
| 10. შევარდენი (აბაშა) | 26 | 8 | 1 | 17 | 42-65 | 25 |
| 11. სქური (წალენჯიხა) | 26 | 8 | 1 | 17 | 28-52 | 25 |
| 12. ოდიში-1 (ზუგ.) | 26 | 4 | 7 | 15 | 24-60 | 19 |
| 13. ჩელა (დარჩელი) | 26 | 4 | 3 | 19 | 14-62 | 15 |
| 14. შევარდენი (სენაკი) | 26 | 3 | 1 | 22 | 13-64 | 10 |

ინფორმაცია მოგვაწოდა რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ

---

(პირველი გვერდიდან)

# ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

ბიც ოქროს მედლების რეალურ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ და ქუთაისში დამარცხებით დაკარგეს ოქროს მედლები, ხოლო მომდევნო 1965 წელს იგივე ბედი გაიზიარეს კიევის დინამოელებმა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, როდესაც საკავშირო გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ „ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის ბედი ქუთაისში წყდებაო".

ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ცნობილი მიმომხილველი ო. სერგეევი წერდა: „რომ არსებობდეს პრიზი ჩემპიონატის ყველაზე უფრო სენსაციური შედეგისათვის, მას უსათუოდ დაიმსახურებდნენ ქუთაისის ტორპედოელები. სწორედ მათ წაართვეს კიეველებს ის ორი ქულა, რომელიც ოქროს მედლების დაკარგვის ფასად დაუჯდათ უკრაინელ ფეხბურთელებს. გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორები, სუსტად ჩაატარა შეხვედრები აუტსაიდერებთან. ტორპედოელები სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდნენ გაზეთ „ფუტბოლ-ჰოკეის" პრიზზე, რომელიც როგორც ცნობილია გადაეცემა იმ გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ მატჩს მოიგებს დიდი ანგარიშით, მაგრამ ამავე დროს მათ განიცადეს ცხრა დამარცხება და უმრავლესობა დიდი ანგარიშით". (გაზ. „ფუტბოლი", 1966).

საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ტორპედო" საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად აფრიკაში გაემგზავრა. შავ კონტინენტზე გვინეის, მალის და ნიგერიის ფეხბერთელებთან მათ შეხვედრა გამართეს, საიდანაც ოთხ მატჩში გამარჯვება მოიპოვეს, ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და ერთშიც განიცადეს დამარცხება. ბურთების საერთო შეფარდებაა 16-3.

1965 წელს „ტორპედოს" სპორტულ ღირსებას იცავდნენ რ. კვასხვაძე, რ. ისიანი, ა. წვერავა, რ. ანდღულაძე, ნ. სარჯველაძე, ი. ლოსაბერიძე, მ. ასიტაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, ჯ. ხერხაძე, ა. ავალიანი, ზ. ებრალიძე, მ. წივწივაძე, ი. ჩხაიძე, ვ. ჩხარტიშვილი, ჯ. ხაჟალია, გ. ნოდია, ი. ჯანშიევი და სხვები.

გუნდის მწვრთნელები იყვნენ ვ. ბლინკოვი და გ. სორდია.

1967 წელს ტორპედოელებმა წარმატებით იასპარეზეს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მიერ დაარსებულ „ენძელას პრიზზე", რომელშიაც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი საკლუბო გუნდები მონაწილეობდნენ. 24 უძლიერესი გუნდი დაიყო ოთხ ქვეჯგუფად, ხოლო შემდეგ ქვეჯგუფებში გამარჯვებულები ოლიმპიური სისტემით გაითამაშებდნენ ნახევარფინალს, პირველ ჯგუფში ქუთაისის „ტორპედომ" თბილისის გუნდებთან: „დინამოსთან" და „ლოკომოტივთან", აგრეთვე ოდესელ არმიელებთან, მოსკოვის „ლოკომოტივთან" და „არარატთან" პაექრობაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ნახევარფინალში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმებით დაამარცხა „ნეფთჩი" და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე მოსკოვის „დინამოს" გუნდი იყო. დაძაბული მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1-0 დინამოელების სასარგებლოდ. „ტორპედოს" წილად ხვდა საპატიო მეორე ადგილი, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში და რაც მთავარია, გუნდმა თამაშის საკუთარი ხელწერა შექმნა, რომელიც დამყარებული იყო შემტევ ტექნიკურ, სწრაფ თამაშზე. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქუთაისელთა გამოსვლებს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე ფართო აუდიტორია ესწრებოდა.

1970 წლის საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე „ტორპედო" გათამაშების ცხრილში ბოლოს წინა მე-16 ადგილზე აღმოჩნდა და დატოვა უმაღლესი ლიგა. საწყენი ის იყო, რომ გუნდმა, რომელმაც შრომით, ბრძოლით და ოფლის ღვრით მოიპოვა „ა" კლასის საგზური, ასე თვალსა და ხელს შუა დაკარგა იგი.

1971 წლიდან ქუთაისის „ტორპედო" საკავშირო ჩემპიონატებში I ლიგაში ასპარეზობდა. 11 წლის მანძილზე გუნდი იბრძოდა, ეძებდა საკუთარ თამაშს და გზას უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად.

1977 წელს გუნდს უფროს მწვრთნელად მოევლინა მისი ყოფილი მოთამაშე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ძოძუაშვილი, რომელიც ერთი წლის შემდეგ კვლავ ა. ნორაკიძემ შეცვალა, ამ უკანასკნელმა თავი იმით „ისახელა", რომ 1979 წლის საკავშირო ჩემპიონატზე I ლიგის გუნდებს შორის „ტორპედომ" მე-11 ადგილი დაიკავა. ბუნებრივია ა. ნორაკიძემ ისევ დატოვა გუნდი.

1980 წელს გუნდს სათავეში ჩაუდგა ამ კლუბის აღზრდილი, სპორტის ოსტატი მ. წივწივაძე, ახალგაზრდა მწვრთნელმა ვეტერან და ახალგაზრდა ფეხბურთელთა შერწყმით საინტერესო ანსამბლი შექმნა, მართალია, გუნდმა 1980 წელს I ლიგაში მისთვის უჩვეულო მე-13 ადგილი დაიკავა, მაგრამ „ტორპედოს" ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები იმ წელს ექსპერიმენტის და საკუთარი თამაშის ძიებაში იყვნენ. რაც მთავარია, გუნდი მომავალი 1981 წლის საფეხბურთო ჩემპიონატს ოპტიმისტური განწყობილებით შეხვდა.

„ტორპედომ" წარმატებით იასპარეზა 1981 წლის საკავშირო ჩემპიონატში და საპატიო II ადგილი დაიკავა, რაც გუნდს გზას უხსნიდა უმაღლესი ლიგისაკენ. მაშინ „ტორპედოს" სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ბ. ფარულავა, დ. დარჯანია, ა. კვერნაძე, ვ. კურტანიძე, გ. ფანჩულიძე, ზ. ცნობილაძე, ა. ქანთარია, ვ. მერეშკო, გ. ლაფერაძე, ნ. მესხია, დ. აგანოვი და თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელები, ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატები: ძმები მ. და გ. მაჩაიძეები, გ. ჩქარეული.

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულთა დიდი არმია 11 წლის მანძილზე მოუთმენლად ელოდა „ტორპედოს" დაბრუნებას უმაღლეს ლიგაში.

დაიწყო 1982 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი და უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „ტორპედოს" პირველმა მატჩებმა ვერაფერი სანუგეშო ვერ მოგვიტანა. პირველი წლის ბოლოს გუნდის მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელი იყო და ამიტომ სასწრაფოდ სწორი რადიკალური ზომები იქნა მიღებული. ჩემპიონატის მეორე წრეში გუნდი ძირფესვიანად შეიცვალა. დაცვა უფრო მონოლითური გახდა. ნახევარმცველებმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს უკანა ხაზის მოთამაშეებთან და აქტიურად ეხმარებოდნენ თავდამსხმელებს. უფრო შედეგიანი გახდა წინა ხაზის მოთამაშეთა შედეგიანობა, რაც მთავარია, ჩემპიონატის მეორე წრეში „ტორპედო" უჩვენებდა სწრაფ კომბინაციურ მაღალტექნიკურ ფეხბურთს, რაც მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა, „ტორპედომ საბოლოოდ მე-13 ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, კვლავ სუსტად დაიწყო გუნდმა 1983 წლის საკავშირო ჩემპიონატი. „ტორპედოს" ვეღარ იცნობდით. გუნდი მოუმზადებელი იყო ფიზიკურად და მოწინააღმდეგეებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა სისწრაფეში. გუნდის მომზადებაში დაშვებულმა შეცდომებმა თავიდანვე იჩინა თავი და „ტორპედო" მეორედ გამოეთხოვა უმაღლეს ლიგას. 1984 წელს „ტორპედომ" კვლავ წარმატებით იასპარეზა პირველ ლიგაში და უკვე მესამედ მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური. სამწუხაროდ, ეს დიდი სიხარული ნაადრევი გამოდგა, რადგან გუნდმა ვერ გაამართლა გულშემატკივრების იმედები.

1986 წლის საკავშირო ჩემპიონტმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ გუნდში ყველაზე სუსტ რგოლს დაცვის ხაზი წარმოადგენდა. აქ იმდენად სუსტად, ქაოსურად თამაშობდნენ ფეხბურთელები, რომ მეტოქეებს სრულიად მარტივ სიტუაციაშიც კი თავისუფლად გაჰქონდათ გოლები ჩვენს კარში. ამიტომაც ჩემპიონატში საკუთარ კარში ყველაზე მეტი ბურთი მივიღეთ.

თანამედროვე ფეხბურთში მთავარი ძალა ნახევარდაცვაა. მართალია, 1986 წლის საკავშირო ჩემპიონატზე „ტორპედოს" ეს ხაზი ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ მთელ რიგ შეხვედრებში ნახევარმცველები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ დაცვის დასახმარებლად. ამდენად მათი კონტაქტი თავდამსხმელებთან დაგვიანებული ან სუსტი იყო. აქედან გამომდინარე, ავტოქარხნელი ფეხბურთელების შეტევებს სიმწვავე, ეფექტურობა და, რაც მთავარია, შედეგიანობა აკლდა.

1986 წლის საკავშირო ჩემპიონატზე „ტორპედო" კვლავ პირველ ლიგაშია, გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა შ. ოქროპირაშვილი, რომელსაც, სამწუხაროდ, არ გააჩნდა მწვრთნელად მუშაობის პრაქტიკა. გუნდში დიდი ცვლილებები მოხდა. სახელდახელოდ შექმნილმა კოლექტივმა ვერ შეძლო პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნება და II ლიგის ბინადარი გახდა. იმავე წლის ბოლოს გუნდს სათავეში რ. ძოძუაშვილი ჩაუდგა. ფაქტიურად „ტორპედოს" ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა და კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დასახულ მიზანს მიაღწია. „ტორპედო" კვლავ დაუბრუნდა პირველ ლიგას. კვლავ გაჩნდა ახალი პერსპექტივები და იმედები.

---

# მსოფლიო ჩემპიონები ემზადებიან

მსოფლიო ჩემპიონის — საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრნელმა როჟე ლემერმა გამოაცხადა გუნდის შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის რუსეთისა (5 ივნისს პარიზში) და ანდორის (9 ივნისს ბარსელონაში) ნაკრებების წინააღმდეგ მატჩებისათვის მოემზადება.

მეკარეები ფაბიენ ბარტეზი („მონაკო"), სტეფან პორატო (მარსელის „ოლიმპიკი"), დაცვა — ლორან ბლანი (მარსელის „ოლიმპიკი"), ვენსან კანდელა („რომა"), მარსელ დესაიი, ფრანკ ლე ბეფი (ლონდონის „ჩელსი"), ლილიან ტიურამი („პარმა"), შუა ხაზი და თავდასხმა — ალენ ბოგოსიანი („პარმა"), დიდიე დეშამი (ტურინის „იუვენტუსი"), ფეკამ ლორაზო („ლიონი"), კრისტიან კარამბე (მადრიდის „რეალი"), ემანუელ პეტი, პატრიკ ვიეირა, ნიკოლა ანელკა (სამივე — ლონდონის „არსენალი"), იური ჯორკაევი (მილანის „ინტერი"), კრისტოფ დიუგარი, რობერ პირესი (მარსელის „ოლიმპიკი"), სილვენ ვილტორი („ბორდო").

ფრანგებს აკლიათ ორი დაშავებული, წამყვანი მოთამაშე: ზინედინ ზიდანი (ტურინის „იუვენტუსი") და ბიქსანტ ლიზარაზიუ (მიუნხენის „ბაიერნი").

---

# თასი — „ზენიტს"

ოთხშაბათს მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონზე გაიმართა რუსეთის თასის ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" შორის.

ანგარიში გახსნა დინამოელმა პისარევმა, მაგრამ შემდეგ ინიციატივას პეტერბურგელები დაეუფლენ და 10 წუთის განმავლობაში 3 გოლი გაიტანეს. აქედან ორის ავტორი რუსეთის ნაკრების ახალი წევრი პანოვი გახდა, ერთი გოლი კი მაქსიმიუკმა გაიტანა.

ამრიგად, მატჩი მოიგო „ზენიტმა" ანგარიშით 3-1. იგი პირველი არამოსკოვური კლუბია, რომელიც რუსეთის თასს დაეუფლა.

# თუ სასწაული არ მოხდა, ჩვენს, ხელბურთელებს შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა განაღდებული აქვთ

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ხელბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ლატვიელებს სძლიეს 19:18 (პირველ ნახევარს აგებდნენ 8:13), ჯგუფში 6 ქულით ლიდერები გახდნენ და ახლა 30 მაისს შინ ისევ ლატვიელების ძლევის შემდეგ თითქმის განაღდებული ექნებათ შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის საგზური. 4-4 ქულა აქვთ პორტუგალიისა და სლოვაკეთის გუნდებს, რომლებიც ახლა ერთმანეთს ხვდებიან სლოვაკეთში.

შეგახსენებთ, რომ ამ ციკლში ქართველმა ხელბურთელებმა პირველი მატჩი წააგეს სტუმრად პორტუგალიელებთან, შემდეგ შინ მათ მოვუგეთ, სლოვაკელებს კი შინ ვაჯობეთ და სტუმრად წავაგეთ და აი, ახლა გამარჯვება ლატვიაში და ძირითად ეტაპზე გასვლის შანსი, შინაც მოგებით...

## ჭიდაობა ჩვენი. ქართული

# წინასწარმეტყველება ახდა

„დაიმახსოვრეთ, ძალისში ფალავნები დაიზრდებიან!" ამ სათაურით საააგენტო „გუმათემ" სამი წლის წინათ, გაზეთ „ლელოს" მეშვეობით (იხ. „ლელო" 20-22.XI.1996 წ.) გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც უარყო პრესაში გამოქვეყნებული არაობიექტური ცნობა იმის შესახებ, თითქოს ჩვენში სპორტის ეროვნული სახეობები, მათ შორის ქართული ჭიდაობაც, დავიწყებას ეძლევა და ტრადიციების შენარჩუნება-გაღრმავებაზე არავინ ფიქრობს. სააგენტო მკითხველს აუწყებს, რომ საბედნიეროდ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ქართული ჭიდაობის ფედერაცია განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ჩვენს ეროვნულ საუნჯეს და ბევრგან რაიონებისა და სოფლების ადგილობრივ ენთუზიასტებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით და დახმარებით ალსდგა ღია საჭიდაო არენები, მათ შორის დასახელებულია მცხეთის რაიონის სოფელი ძალისი, სადაც განახლდა ჯერ ღია საჭიდაო არენა, შემდეგ კი სპორტული დარბაზი. ძალისელები მას შემდეგ მოყოლებული, სისტემატურად ატარებენ ღია შეჯიბრებებს ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში. წარმატებებიც თვალსაჩინო აქვთ. პირველი გამარჯვება ძალისელებმა თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრებაზე იზეიმეს, როდესაც ფინალურ ორთაბრძოლაში ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის ძლიერი გუნდი დაამარცხეს და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ქართულ ჭიდაობაში.

ახლახან კი ძალისელმა ჭაბუკმა მირიან პავლიაშვილმა სოფიაში, ჭიდაობა სამბოში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა და უდიდესი სიხარული მოუტანა თანასოფლელებს.

ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ იქ, სადაც ეროვნული ჭიდაობა ყურადღების ცენტრშია, ჭიდაობის სხვა სახეობებიც წარმატებით ინერგება და საქართველოს ფალავანთა რიგებიც იზრდება.

ძალისელებმა ტრადიციას არ უღალატეს და მეოთხედ ჩაატარეს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კასპის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის და მცხეთის რაიონის სოფლების გალავნის, მუხრანის, წილკნის, ქსოვრისის 100-მდე სპორტსმენმა.

შეჯიბრების მონაწილეები და მაყურებლები, რომელთა შორის მრავალი საპატიო სტუმარი იყო თბილისიდან, გულთბილად მიესალმნენ ევროპის ჩემპიონს მირიან პავლიაშვილს. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და სამახსოვრო საჩუქრებით.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით:

**ჭაბუკები:** ნუკრი პავლიაშვილი, გიორგი წიკლაური, დიმიტრი პავლიაშვილი და ვასიკო ვალიშვილი (ყველა — ძალისი); გიორგი ახლოური (კასპი), დათო მორბედაძე (ახალგორი), დიმიტრი ჭინჭარაშვილი (გალავანი), ოთარ შარიფაშვილი (მუხრანი), თამაზ გულიაშვილი (ქსოვრისი) და ნოდარ ჭინჭარაშვილი (გალავანი). **მოზრდილები:** აჩიკო ლოხიშვილი (ქსოვრისი), შმაგი ქაშიაშვილი (წილკანი), ზურაბ ჩილინდრიშვილი და ზურაბ პავლიაშვილი (ორივე — ძალისი).

**იური იმერლიშვილი**

## ჩემპიონთა ლიგის ფინალი

# ერთი წუთის ისტორია

**26 მაისი. ბარსელონა „ნოუ კამპი". 110 000 მაყურებელი.**

**მანჩესტერ იუნაიტედი: (ინგლისი) — ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 2-1**

***მანჩესტერ იუნაიტედი:*** **შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, იონსენი, სტამი, ბათი, გიგზი, ბლომკვისტი (შერინგემი. 66). ბექემი, იორკი, კოული (სოლსკიაერი 82).**

***ბაიერნი:*** **კანი, ბაბელი, კუფური, ლინკე, მათეუსი (ფინკი. 80), ტარნატი, იერემისი, ეფენბერგი, ბასლერი (სალიხამიჯიჩი. 88), იანკერი, ციკლერი (შოლი. 69).**

***გოლები:*** **0-1. ბასლერი (6), 1-1 შერინგემი (90), 2-1 სოლსკიაერი (90).**

***მსაჯი:*** **პიერლუიჯი კოლინა (იტალია)**

***გააფრთხილეს:*** **ეფენბერგი.**

ფინალში ორივე გუნდს აკლდა ძირითადი შემადგენლობის ორ-ორი ფეხბურთელი. ალექს ფერგიუსონის ბიჭები როი კინი და პოლ სქოულზი ტურინის დრამატულ ნახევარფინალში ვერ ასცდნენ ყვითელ ბარათებს, ხოლო ოტმარ ჰიტცფელდს ლიზარაზიუ და ელბერი დააკლდა. „ალისფერთა" დამრიგებელმა დანაკლისის გამო ნახევარდაცვა გადაალაგა. გიგზს უჩვეულოდ მარჯვენა ფრთა მიანდო, ხოლო ბექემი საყრდენ ადგილას დააყენა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მისი აღიარებული კროსი და ჩაწოდებები ნაკლებად ვიხილეთ. ჰიტცფელდს კი რაიმე ახლებური არ გამოუყენებია.

მატჩის დებიუტშივე დაწინაურდნენ გერმანელები. კარისკენ სახიფათოდ გაჭრილი იანკერი ორმა ინგლისელმა მცველმა დასცა, ხოლო ჯარიმა უზადოდ შეასრულა ბასლერმა, შმაიხელი არც განძრეულა. 1-0. ვერ იქნა და ვერ დაალაგა თამაში „იუნაიტედმა". ისინი გაცილებით ხშირად ფლობდნენ ბურთს, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტი, თუ არ ჩავთვლით კოულის რიკოშეტს, ვერ შექმნეს. თავის მხრივ, „ბაიერნი" კონტრშეტევებზე გაცილებით მწარედ „ჩხვლეტდა".

უფრო ლამაზი და დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარი. სცენარი თითქმის არ იცვლებოდა, რაც გერმანელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. 56-ე წუთზე ფრიად აქტიური გიგზის ჩაწოდების შემდეგ, ბლომკვისტმა 6-7 მეტრიდან კარს გადააცილა ბურთი. თითქოს „ალისფერები" გააქტიურდნენ. მაგრამ ეს სულ რამდენიმე წუთს. „ბაიერნის" დაცვა აშკარად უმკლავდებოდა იორკ-კოულის დუეტს. და 20 წუთის ინტერვალით ფრიცებმა ნამდვილი „სუპერ ფეხბურთი" გააჩაღეს. 64-ე წუთზე „სუპერი" — მარიო ბასლერი წინ გამოსულ შმაიხელს შორიდან თავზე უგდებდა ბურთს, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. რამდენიმე წუთში ეფენბერგმა ძლიერი დარტყმა ოდნავ ააცილა კარს. მალე შოლმა და იანკერმა შეარყიეს კარის ძელები. მოკლედ, თითქოს მოგება გარდუვალი იყო, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა მოთამაშეებმა სოლსკიაერმა და შერინგემმა სასწაული მოახდინეს. „შერიმ" უკანასკნელ წუთზე გაქვითა 1-1. აშკარად ჩანდა, რომ აღიარებული გერმანული „მანქანაც" დაიღალა და ბოლოს ძლივსღა იმაგრებდნენ თავს. ყველა დამატებით დროს ელოდა, როცა გიგზის მოწოდებული კუთხურიდან შერინგემმა შორეულ ძელთან გადააგზავნა ბურთი და იქ სოლსკიაერმა ყველას დაასწრო.

სასოწარკვეთილებამ მოიცვა გერმანელთა რიგები. ასეთი რამ ალბათ მათი ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს. „ბარსელონას დრამა" ალბათ დიდხანს დარჩება მათ მეხსიერებაში. მანჩესტერელთა სიხარულს კი, ცხადია, საზღვარი არ ჰქონდა. ერთი წუთი, დიახ, ერთი წუთი აღმოჩნდა საკმარისი გლოვიდან დღესასწაულამდე. სერ ბობი ჩარლტონი ტრიბუნაზე სიხარულისაგან ტიროდა, ხოლო მინდორზე დარჩა კაცი, რომელიც სათითაოდ კოცნიდა ფეხბურთელებს. ეს ახალი ეპოქის შემქმნელი გახლავთ — მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი!

**ილია ნანობაშვილი**






# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ნაკრებს პოჯსონი ჩაუდგება ხელმძღვანელებს

12 ივნისს სიდნეიში გაიმართება ამხანაგური მატჩი ფიფას ვარსკვლავებსა და ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებს შორის. იგი მიეძღვნება სიდნეის 110-ათასიანი სტადიონის გახსნას. მან 2000 წლის ოლიმპიადა უნდა მიიღოს როცა ვარსკვლავების ნაკრების მწვრთნელი როი ჰოჯსონი (ინგლისი), რომელიც ახლა დროებით მილანის „ინტერს" უდგას სათავეში, მწვანე კონტინენტზე ჩავა, ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაცია მასთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებს. იქ ინგლისელს ავსტრალიის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტს შესთავაზებენ.

მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ტერი ვენეიბლსმა ავსტრალიის ნაკრებთან მუშაობა დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა, იგი შეცვალა ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელმა რაულ ბლანკომ. მას შემდეგ, რაც ავსტრალიელები საკმაოდ მოულოდნელად ახალზელანდიელებთან დამარცხდნენ, და, ამრიგად კონფედერაციის თასის საგზური ვერ მოიპოვეს, ბლანკოსთან ხელშეკრულება უკვე აღარ გაფორმდა. რაც შეეხება ვენეიბლსს, რომლის ხელმძღვანელობით ავსტრალიის ნაკრები რაღაც სასწაულით ვერ მოხვდა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში, მას ადგილობრივი მიმომხილველები ხშირად აკრიტიკებდნენ. ამის მიზეზი კი იყო ის, რომ ვენეიბლსი იშვიათად ჩადიოდა ავსტრალიაში, იმას იმიზეზებდა, რომ ნაკრების წევრების უმეტესობა ევროპულ კლუბებში თამაშობდა.



### ანელკას ჟურნალისტები ანერვიულებენ

როგორც ლონდონის „არსენალის" უძლიერესმა სნაიპერმა, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ნიკოლა ანელკამ განაცხადა, მან, შესაძლოა, ამ მოკლე ხანში დატოვოს ინგლისი. ამის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ ინგლისელი ჟურნალისტები იქნებიან.

— დღეს იქნება, თუ ხვალ, მივატოვებ „არსენალს". ეს გადაწყვეტილება უკვე მივიღე — უთხრა მან „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს, — ყველა დეტალზე ლაპარაკი ახლა არ მინდა, ამიტომ ერთს ვიტყვი: აღარ შემიძლია ადგილობრივი ჟურნალისტების მოსმენა, სისტემატურად რაღაცას იგონებენ, დამცინიან. თუ ასე გააგრძელეს...

ახლა ხშირად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ანელკა თითქოს მადრიდის „რეალში" გადადის. ეს კატეგორიულად უარჰყო „არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. „ის, რომ ნიკოლას მაინცდამაინც არ უყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა, გულზვიადობით კი არ უნდა ავხსნათ, არამედ მისი სიმორცხვით. იგი ცუდად ლაპარაკობს ინგლისურად და ამით იცავს თავს ბრიტანელი მასმედიის წარმომადგენლებისაგან. ჩემის მხრივ, ვცდილობ, რომ იგი არ გაანაწყენონ, თორემ შეიძლება რონალდოს ბედი გაიზიაროს. მე ძალიან არ მინდა, რომ „არსენალს" გამოეთხოვოს. ეს მისი დიდი შეცდომა იქნებოდა. მინდა მოგცეთ 90%-იანი გარანტია, რომ ნიკოლა ჩვენთან დარჩება და ბევრ გოლსაც გაიტანს.



### რატომ აკლია რეკობა?

ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც 29 ივნისიდან „კოპა ამერიკაზე" გამოვლენ. სულ ამ სიაში 29 მოთამაშეა, მათ შორის 6 ლეგიონერი, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო არ არის ალვარო რეკობა, რომელიც დიდი წარმატებით თამაშობდა „ვენეციაში".

### უპრეცედენტო გადაწყვეტილება

აბსოლუტურად უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო მექსიკის საკანონმდებლო კრებამ (პარლამენტმა). მან ფაქტობრივად აკრძალა ლათინურ ამერიკაში მეტად პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობა — ქუჩის ფეხბურთი. ამიერიდან ქუჩაში მოთამაშე ახალგაზრდებს დააკავებენ 6-დან 36 საათის განმავლობაში მდგომარეობის გამორკვევის მიზნით, და 111 დოლარით დააჯარიმებენ. გასაგებია, რომ ეს თანხა მშობლების გადასახდელი იქნება. თუ მექსიკური ოჯახების სიღარიბის გამოთვალისწინებით, მათ გაუჭირდებათ ამ ჯარიმის გადახდა. ქუჩის ფეხბურთი კონტინენტზე ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ცნობით, მას 97 მილიონი ბიჭუნა თამაშობს. თავიანთ გადაწყვეტილებას მექსიკელი ხელისუფლები იმით ხსნიან, რომ ქუჩის ფეხბურთი მოქალაქეთა ქონებას სერიოზულ ზიანს აყენებს. ყოველწლიურად ჩამსხვრეული ფანჯრებისა და ვიტრინების ზარალი 560 ათას დოლარს შეადგენს, ამას კი დამნაშავე ბავშვების მშობლები მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც კი ვერ იხდიან. რახან ჭაბუკთა საფეხბურთო სკოლების მოსწავლეთა უმეტესობა სწორედ „ქუჩის აღზრდილია", ამიტომ მექსიკელი კომენტატორების აზრით, საკანონმდებლო კრების ეს გადაწყვეტილება ეროვნულ ფეხბურთს მხოლოდ ზიანს თუ მიაყენებს.

### იაპონელთათვის ჩვეული შეუპოვრობით

იაპონიის ნაკრების ხელმძღვანელობას დიდი გეგმები აქვს.

მაისის ბოლოდან გუნდი მონაწილეობას მიიღებს კირინის თასის გათამაშებაში, სადაც პერუსა და ბელგიის ნაკრებებს შეხვდება. 29 ივნისიდან 18 ივლისამდე იაპონელები ითამაშებენ „კოპა ამერიკას" გათამაშებაში პარაგვაიში. იქ წინასწარ ჯგუფში მათი მეტოქეები იქნებიან პერუს, ბოლივიისა და პარაგვაის გუნდები.

იაპონელებს აზიის 2000 წლის თასის საკვალიფიკაციო თამაშები მოელით. მათ ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებაც უნდა მოიპოვონ მალაიზიის, ნეპალისა და ჰონკონგის ნაკრებებთან ბრძოლაში. ამას ისინი ეტყობა მოახერხებენ, მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, სიდნეიში ისეთივე წარმატებით თამაში გაუჭირდებათ, როგორც, ვთქვათ, ატლანტაში 1996 წელს, სადაც ბრაზილიელები დაამარცხეს ანგარიშით 1-0, რომელთა შემადგენლობაში ბებეტო და რონალდო გამოდიოდნენ.

რაც შეეხება აზიის თასს, აქ იაპონელებმა სინგაპურის, მაკაოსა და ბრუნეის ფეხბურთელებთან ბრძოლაში იოლად უნდა მოიპოვონ ფინალის საგზური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროფესიული კრივის სამყაროში

# 6 ნოემბერს – ლას-ვეგასში



1999 წელი. 13 მარტი. „მედისონ სკვერ გარდენში" ჰოლიფილდისა (მარცხნივ) და ლენოქს ლუისის შეხვედრის ერთი ეპიზოდი.

მეორე გამაერთიანებელი ბრძოლა სამივე პრესტიჟული ვერსიით (ვბა, ვბც, იბფ) მსოფლიო პირველობაზე მძიმე წონაში ინგლისელ ლენოქს ლიუისსა და ამერიკელ ევანდერ ჰოლიფილდს შორის გაიმართება 6 ნოემბერს ლას-ვეგასში. ამ ბრძოლის ჩატარების უფლებისათვის იბრძვის ამ ქალაქის ორი ცნობილი ოტელი — Mandalay Bay და Hilton-ი. ფიქრობენ, მეტი შანსი აქვს Mandalay Bay-ს, რომლის წარმომადგენლები ამ შოუსათვის 10 მილიონს გაიღებენ.

მოკრივეებმა სხვადასხვაგვარად აღიქვეს ეს ცნობა. ჰოლიფილდმა განაცხადა, რომ მისთვის სულ ერთია, სად და როდის ეჩხუბება ლიუისს. „მთავარია, — ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ეს ბრძოლა შედგება". ვბც-ს ჩემპიონს კი, როგორც გაირკვა, მშობლიურ ინგლისში უნდოდა ბრძოლის გამართვა. „მხოლოდ ევროპაში შემიძლია ობიექტური მსაჯობის იმედი მქონდეს, — თქვა მან, — თუმცა, ამჯერად შევეცდები ყველაფერი გავაკეთო, რომ დროზე ადრე დავამთავრო ბრძოლა".

# ტაისონი 4 ივნისს გამოვა



მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მძიმეწონოსან მაიკ ტაისონის ადვოკატებმა მაინც შეძლეს გაეკეთებინათ ის, რაც ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ შეუძლებლად მიაჩნდათ. მერილენდის შტატის სამინისტროს კომისიამ ხუთი ხმით ერთის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა მოკრივის ვადამდე ციხიდან განთავისუფლებას. იგი საპატიმროს კედლებს დატოვებს არაუგვიანეს 4 ივნისისა.

„ვფიქრობთ, გასულ ექვს თვეში ტაისონმა შეძლო სწორი დასკვნების გამოტანა, — თქვა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა. — ალბათ, მან გაიგო, ბოლოს და ბოლოს, რომ თითოეულმა მოქალაქემ საკუთარი სურვილით კი არა, კანონებითა და საზოგადოებრივი წესრიგით უნდა იცხოვროს"... ყოველ შემთხვევაში, მას საგულდაგულო თვალყურის მიდევნებას დაუწესებენ.

რკინის მაიკს, როგორც იცით, ციხე მიუსაჯეს ამ წლის თებერვალში ორი მოტოციკლისტის გალახვისათვის. მისი მენეჯერი შელი ჯერ მზად არ არის დაასახელოს მაიკის რინგზე დაბრუნების სავარაუდო ვადა. მაგრამ სპეციალისტთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მატჩი ტაისონის მონაწილეობით შედგება წლეულს, არაუგვიანეს სექტემბრისა.

# „როლან გაროსის" კორტებზე



საფრანგეთის ღია პირველობის მეორე წრეშივე სასტიკი დამარცხება განიცადა ამჟამად მსოფლიო რეიტინგ-ლისტში პირველ ადგილზე მყოფმა ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი). მან წააგო მატჩი სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან: 4:6, 1:6, 4:6. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსი ჩოგბურთელი „როლან გაროსის" შემდეგ დაკარგავს თავის წამყვან პოზიციას მსოფლიოს უძლიერეს ოსტატთა შორის. უკვე პირველივე წრიდან გამოეთიშნენ შეჯიბრებას გორან ივანიშევიჩი (ხორვატია), და მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია), მათ მეორე წრიდან შეუერთდა რიხარდ კრაიჩიკიც (ჰოლანდია). მეტად ძნელი გამარჯვება მოიპოვეს ჯერ პიტ სამპრასმა, რომელიც ახლა მეორეა მსოფლიო რეიტინგ-ლისტში, შემდეგ კი ანდრე აგასიმ. საინტერესოა, რომ აგასი აგებდა თავის მატჩს სეტების მიხედვით 1:2, მაგრამ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი მეხუთე სეტში პირდაპირ გაანადგურა მოწინააღმდეგე — 6:0. დანარჩენი ფავორიტები დაბრკოლებების გარეშე მიიწევენ წინ: კარლოს მოია, პატრიკ რაფტერი და მარსელო რიოსი. იგივე შეიძლება ითქვას ქალებზეც, რომელთაც ჯერჯერობით გამოაკლდათ ერთადერთი განთესილი მოთამაშე — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი).



ანდრე აგასი

ბრძოლა „როლან გაროსის" კორტებზე თანდათან მწვავდება.

## ჭადრაკი

# პირველი პრიზი – გარი კასპაროვს

მეტისმეტად დამაჯერებელი შედეგებია: სამჯერ ითამაშა წლეულს სუპერტურნირებში გარი კასპაროვმა და სამჯერვე პირველი ადგილი დაიკავა! განსხვავება რეიტინგ-ლისტში მსოფლიოს №1 მოჭადრაკესა და მის უახლოეს მეტოქეებს შორის სულ უფრო იზრდება.

ხუთი ტურის შემდეგ სარაევოს სუპერტურნირში კასპაროვს 3,5 ქულა ჰქონდა: 2 მოგება და სამი ყაიმი. ასეთი შედეგით იგი პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა 21 წლის მოსკოველ დიდოსტატ ალექსანდრ მოროზევიჩთან. საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრების წინ კასპაროვმა საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა ახალგაზრდა მოჭადრაკის შესაძლებლობები, რომელსაც არასოდეს უთამაშია პირველხარისხოვან ტურნირებში, თქვა, რომ მას შეუშლის გამოცდილების უქონლობა. მსოფლიო ჩემპიონს პრეტენზიები ჰქონდა ბოლო ხანებში ესოდენ დაწინაურებული მოროზევიჩის წმინდა საჭადრაკო სტილის მიმართაც, რომ მას ძალზე ბევრი მუშაობა მოუხდებოდა და ა.შ.

მეექვსე ტურში მოროზევიჩი თეთრებით ეთამაშებოდა ევგენი ბარეევს (მოსკოვი), რომელიც ახლა ძალიან ძლიერად თამაშობს და პირველი დამარცხებაც იგემა. მეშვიდე ტურში გაიმართა ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა: კასპაროვი – მოროზევიჩი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ კასპაროვმა განიმტკიცა თავისი წამყვანი მდგომარეობა, რომელიც შეჯიბრების ბოლომდე შეინარჩუნა. ბოლო, მეცხრე ტურში მან დაამარცხა ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი და 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა.

## რა ხდება ქვეყანაზე

# ჩრდილოევროპელ კალათბურთელებს თავიანთი ტურნირი ექნებათ

ეს 31 მაისს გაირკვევა ჰელსინკში ჩრდილოევროპის საკალათბურთო ლიგის (ნებლ) დამფუძნებელ სხდომაზე. ლიგის დამფუძნებელი და პრეზიდენტია ცნობილი ლიტველი კალათბურთელი შარუნას მარჩულენისი და მოსკოველი ალექსანდრ ვოლკოვი, რომელიც ახლახან სათავეში ჩაუდგა საკალათბურთო კლუბ „კიევს".

ახლა ცნობილია ის რვა ქვეყანა, რომელიც უცილობლად გამოვა ამ ასპარეზობაში. ესენია: ლიტვა, ლატვია, ფინეთი, შვედეთი, რუსეთი, უკრაინა, დანია და ინგლისი.

ამ ტურნირის „სასინჯი ქვა" იყო 98/99 წლების შეჯიბრება Promotion-Cup-ის სახელწოდებით და მომავალი ასპარეზობაც (ნებლ) იმავე რეგლამენტით — ტურებად ჩაივლის.

# მორიგი სარჩელი როდმანზე

ლას-ვეგასის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი კაზინოების დარაჯმა დონა ელერტმა სასამართლოში უჩივლა ნბა-ს ყველაზე ფათერაკიან მოთამაშეს დენის როდმანს, რომელსაც „ლეიკერსის" შემადგენლობაში დაუწყია სეზონი და რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე გუნდიდან გაურიცხავთ. ქალის თქმით, შარშან როდმანი კაზინოში ცდილობდა ყოველმხრივ დაემცირებინა იგი და მკერდშიც სწვდომია. ამ ფაქტის კომენტარზე კალათბურთელს უარი უთქვამს. სხვათა შორის, შარშანვე სამი საჩივარი შევიდა როდმანზე, რომ იგი უცნობ ქალებს ეტორღიალება და გასაქანს არ აძლევს.

## შეკითხვა „ლელოს"




**კითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელი წლიდან აღირიცხება ჩოგბურთში რეიტინგი და ვინ იყო მსოფლიოში პირველი უძლიერესი?

*მამუკა დევნოზაშვილი, თელავი*

**პასუხი:** ვაჟ ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაცია პირველად 1993 წელს გამოქვეყნდა. მაშინ უძლიერესის სახელი წილად ხვდა რუმინელ ილიე ნასტასეს. დღემდე ჩოგბურთის მეფედ სულ 15 სპორტსმენია აღიარებული. აქედან ევროპელია — 8, ამერიკელი — 5 და თითოც ავსტრალიიდან და სამხრეთ ამერიკიდან.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**28 მაისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.20), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15, 21.00). ბრაზილიის ჩემპიონატი (23.15). „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (0.55), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 22.30), ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (14.00), ფეხბურთი. „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები" (23.00), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (4.00).

**29 მაისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), გერმანიის ჩემპიონატი ფეხბურთში (21.35, 23.00), ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში (0.00, 1.00). ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.55), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (15.40), ბრაზილიის ჩემპიონატი (16.25), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (18.45), რუსეთის ჩემპიონატი: „ალანია" – „ლოკომოტივი" (19.55), გერმანიის ჩემპიონატი (21.55), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (2.30, 3.00, 7.00, 22.00). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (14.00, 20.00, 2.30).

**30 მაისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ლატვია (18.25). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ნორვეგია – საქართველო (23.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (15.00, 19.25), ესპანეთის ჩემპიონატი (17.25, 22,25). სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (0.25). ***НТВ плюс спорт.*** მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (18.00), ***ESPN.*** კარატე (22.00). კალათბურთი. ნბა (23.00, 23.30). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (16.00, 20.00). მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (3.00).

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3-4 მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. 5. 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 7. „მილანის" პრეზიდენტი, 9. ქუთაისის „ტორპედოს" და თბილისის „დინამოს" ყოფილი ფორვარდი, 10. იტალიის კლუბი, 11-12. „ბარსელონას" ნახევარმცველი, 13. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, 14. ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 16. საფრანგეთის ნაკრების მეკარე 80-იან წლებში, 20. ბელგიის კლუბი, 21-22 „ბენფიკას" და პორტუგალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 23. მადრიდის „რეალის" მეკარე.

**შვეულად:** 1. იუგოსლავიის კლუბი, 2. ესპანელი თავდამსხმელი, 1964 წლის ევროპის ჩემპიონი, 3. ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი, 6. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი 1974-84 წლებში, 7. „ფიორენტინას" თავდამსხმელი, 8. იტალიის კლუბი, 15. 1969 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 17. 1991 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 18. „ინტერის" მცველი, 19. „მილანის" მცველი.

**დიაგონალურად:** 3-12. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 13-6. „ფრაიბურგის" ქართველი ლეგიონერი, 21-12. სომხეთის კლუბი, 13-24. მე-8 მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:



## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლa6! 2. ლc4X.
1. ...ba 2. მ:c6X. 1. ...e4 2. კf6X.
1. ...მb2 2. c3X. 1. ...მe3 2. feX.
1. ...კe6 2. ლd3X. 1. ...კd3 2. ლ:d3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე